1890 წლისა, № 21 15 ნოემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამადრესით: *въ Квирилы, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## რედაქციისაგან.

აგერ რვა წელიწადი გადის და მეცხრეში გადავდექით, რაც ჩვენი გაზეთი «მწყემსი» არსებობს. ამ რვა წლის განმავლობაში ამ მძიმე ტვირთის ზიდვა, იმ ეკლიან გზაზე მისი ტარება, რომელზედაც სვლა, გაზეთის დაარსებიდამვე ჩვენ გვხვდა, თითქმის სულ მარტოობა შრომაში, ზოგიერთ ბნელისმოყვარე პირთაგან დევნა, მტრობა და შური, ნივთიერ საშუალებათა უქონლობა, გარეშე ნუგეშს და შემწეობას შემძლე კაცებისაგან მოკლებულობა, მკითხველთა საზოგადოების, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მოუმზადებლობა, გაუხსნელობა მათში კითხვის გემოისა და ათასი სხვა მრავალი დაბრკოლებანი და ხელის შემშლელი გარემოებანი, — ამისთანა გაჭირვებაში ამ მძიმე საქმის მმართვა ითხოვდა ჩვენგან დიდს მოთმინებას, მაჰაცობას და თავგანწირულებას. ჩვენ დაუზოგველად ჩვენის პირადის სარგებლობისა და ინტერესებისა თავგადადებით შევებით ამ მძიმე საქმეს და, რამოდენათაც შევსძლეთ, მოვიყვანეთ იგი დღემდის.

ჩვენი ამ საქმეში ერთად ერთი გამამხნევებელი ნუგეში, ძალის მომცემი წამალი იყო მხოლოდ შეგნება და სიყვარული თვით ამ სასარგებლო საქმის: როდესაც წარმოვიდგენთ, რომ ამ საქმით ცოტა რამ სარგებლობა მაინც მოგვაქვს ჩვენი თანამოძმეებისათვის და საზოგადოებისათვის, ცოტაოდენ სხივს მაინც ვაშუქებთ იმ წყვდიადში, რომლითაც მოცულია გაუნათლებლობისა გამო მდაბალი ხალხი, როდესაც ვხედავთ, რომ ჩვენის გაზეთით ბევრმა ისწავლა კითხვა, ბევრს გაეხსნა გემო ცნობისმოყვარეობისა და სწავლის შეძენისა, — ყოველი ჩვენგან გამოვლილი გაჭირვება და სიცოცხლის შემამოკლებელი მძიმე შრომა მთლად გვავიწყდება, — და კვალად ვივსებით მხნეობითა და ენერგიით

მივსდიოთ ამ საქმეს, მინამ გული გვიცემს და თვალით ვხედავთ და მუდამ ვაუმჯობესოთ იგი.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენ შრომას და ღვაწლს თან-და-თან აღმოუჩნდებიან დამფასებელნი და თანამგრძნობელნი, რომელნიც მხარს მოგვცემენ ამ ფრიად სასარგებლო საქმეში. ასე ამ იმედით, ამ მხნეობით, ამისთანა საქმის სიყვარულით გადავდივართ ამ მეცხრე წელში ჩვენი გაზეთის არსებობისა და სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ჩვეულებრივს თანაგრძნობას არ მოგვაკლებენ ჩვენი თანამოძმენი და საზოგადოება.

## სამღვდელოების დეპუტატების კრება ქალაქ ქუთაისში

(გაგრძელება *)

მომავალი 1891 წლის ხარჯთა აღრიცხვამაც (СМѢТА) საკმაოდ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია დეპუტატებში. სამი ათასი მანეთი ითხოვებოდა სასწავლებლის სახლის კედლების დასამაგრებლად იმ ათას ხუთას მანეთს გარდა, რომელიც დღემდის უკვე დაუხარჯავთ სასწავლებლის დაზიანებული კედლების დასამაგრებლად. ბ. ტატიევის მოსაზრებით სასწავლებლის დაზიანებული კედლების დასამაგრებლად სასწავლებელს უნდა მიშენებოდა აღმოსავლეთის მხრით ეკკლესია, რომლის აღშენება უთუოდ მოითხოვდა არა ნაკლებ 25 ათასი მანეთისა. დღეს სასწავლებლის კედელი ცოტა გაიბზარა სამხრეთის მხრითაც. ამ მხრით რაღა უნდა მიშენებოდა სასწავლებელს, ეს კი აღარ ვიცით... ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობის მდგომარეობა სწორედ ქარებით ავად მყოფის მდგომარეობას ჰგავს. ქარებით ავად-მყოფს ექიმი ხან-დის-ხან მალე გარდაცვალებას უწინასწარმეტყველებს ხოლმე, მაგრამ ხშირად ამისთანა სნეულები თავიანთ ექიმებზე უფრო დიდ-ხანს ცოცხლობენ...

ჩვენის აზრით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის შენობა ისე დაზიანებული არ არის, როგორც ეს ეჩვენება ზოგიერთ ხუროთ-მოძღვრებს. ხუროთ-მოძღვრები ამტკიცებენ, რომ ამ სასწავლებლის კედლები დაზიანებული არის და ეხლავე უნდა დაამაგროთ, თორემ შენობა დაიქცევაო. აქ მოვიყვანთ ერთ მაგალითს ხუროთ-მოძღვრების შემცდარი დასკვნისას. თბილისში არის ქაშუეთის ეკკლესია. ამ ეკკლესიის კედლები და თალი აქა-იქ გაიბზარა. მოიყვანეს ხუროთ-მოძღვრები, რომელთაც შეამოწმეს ეკკლესია და გარდასწყვიტეს, რომ ტაძრიდამ საჩქაროდ გამოეტანათ ნივთები და ტაძარი დაეკეტათ. თუ კედლები არ დამაგრდა, ეკკლესია დაიქცევაო, ამტკიცებდნენ ისინი. ეს ეკკლესია დიდ ხანს იყო დაკეტილი და ელოდნენ დაქცევას. რამდენიმე წლის შემდეგ სულ სხვა ხუროთ-მოძღვრებისაგან შემდგარმა კომმისიამ შეამოწმა ეს ეკკლესია. ამ კომმისიამ გამოაცხადა, რომ სხვა ეკკლესიები შეიძლება დაიქცეს, მაგრამ ქაშუეთის ეკკლესიას არასოდეს არა უშავს რა, რადგან მისი კედლები ძალიან მაგრად არის ნაშენებიო, გაბზარულები სრულებით საშიში არ არიანო. ჩვენი უბედურება ის არის, რომ ქუთაისში ხეირიანი ხუროთ-მოძღვარი არა გვყავს და რომელნიც არიან, იმათგან ზოგი ამბობს, რომ სასწავლებლის შენობას არა უშავს რაო და ზოგი კი კედლების დამაგრებას თხოულობს... სასწავლებლის კედლების დამაგრების კითხვა პირველად აღძრა ბ. ტატიევმა, მაგრამ იმას აღარავინ კითხულობს, თუ რა მიზანი ჰქონდა ამ კითხვის აღძრვას?.. ასე იყო, თუ ისე, სამღვდელოებამ დანიშნა სამი ათასი მანეთი ხარჯი კედლების დასამაგრებლად.

ამას გარდა ხუროთ-მოძღვრისაგან შედგენილი ანგარიშით ითხოვებოდა კიდევ ექვსი ათასი მანეთი სასწავლებლის კაპიტალური შეკეთებისათვის, სასწავლებლის ეზოის შემოღობვისა და უსწორ-მასწორო ადგილების გასასწორებლად. ხუროთ-მოძღვრის ანგარიშით სასწავლებლის ყველა ოთახებში უნდა გამოცვლილიყო იატაკები და ძველის მაგიერ ახალი უნდა დაგებულიყო. კედლები და ჭერი ახლად უნდა გალესილიყო და ზეთის საღებავებით უნდა შეეღებათ კედლები და სხვა ამისთანაები. ხუროთ-მოძღვრისათვის ყოველთვის სასარგებლოა, თუ მეტი ხარ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 20 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯი ითხოვება შენობაზედ. რამდენი მეტი ხარჯი იქმნება, იმდენად იგი მეტს აილებს ხარჯის შედგენისათვის!.. ზოგიერთ აკადემიებში და უნივერსიტეტებში ვიყავით და გარწმუნებთ, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კედლებზე და ჭერზე უკეთესი შელესილი და გაკეთებული არ არის ამ უმაღლესი სასწავლებლების კედლები და ჭერი, მაგრამ ჩვენში უკეთესად უნდათ მორთონ სასწავლებლის შენობა, იმიტომ რომ ერთი ათი ათასი მანეთი არის შენახული და იმის დახარჯვას... ესწრაფვებიან სამღვდელოებამ, შემდეგ ხანგრძლივი ბაასისა, უარჰყო ეს 6000 მ. ხარჯი, ხოლო დანაშთენი ხარჯთა აღრიცხვა მიიღო ზოგიერთ ხარჯთა მცირეოდენის დაკლებით...

კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა შემნახველ გამსესხებელი კასსის დაარსება. ამ საგანზე პროექტის შედგენა კრებამ მიანდო საეპარქიო კანცელარიის მდივანს ბ. ე. ს. თუთბერიძეს.

დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზედ აკადემიაში კურს შესრულებულ პირთა მასწავლებლად დანიშვნამ პარალელურ კლასებში. ამ კლასების მასწავლებლებს ჯამაგირები სამღვდელოებისაგან ეძლევათ. ყველამ იცის, რომ სემინარიაში კურს შესრულებულ მასწავლებელთ თითოეულ შტატის გაკვეთილის მიცემისათვის ეძლევა 35 მ. და შტატ გარეშე გაკვეთილისათვის 20 მ. იმათ, რომელთაც კურსი შეუსრულებიათ აკადემიაში 35 მანეთის მაგიერ 60 მ. ეძლევათ და 20 მ. ადგილას 50 მ. და ოთხი წლის სამსახურის შემდეგ კიდევ ემატებათ ჯამაგირი. სემინარიაში კურს შესრულებულს კი, თუ გინდ ოცი წელიწადი ემსახუროს იგი, არასფერი არ ემატება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სასულიერო აკადემიები სტუდენტებს მარტო სამასწავლებლო ასპარეზისათვის არ ამზადებენ. ამისათვის მაინც და მაინც რომ დაიჟინოს კაცმა, რომ ვინც აკადემიაში კურს შეასრულებს, მარტო ისინი გამოდგებიან მასწავლებლადო, ახირებული დაჟინება იქმნება. ოთხ კლასიან სასწავლებლებში ყველა საგნების სწავლება შეუძლიათ სემინარიელებს, რაც საქმითაც მტკიცდება. რა საჭიროა აკადემიაში კურსის შესრულება კატეხიზმოს და საღმრთო ისტორიის სწავლებისათვის? რა მოემატა ჩვენს სასწავლებლებს მით, რომ მათში აკადემიელების რიცხვი გამრავლდა. სწავლა ისევ ისე მიდის, როგორც იმ დროს, როდესაც მარტო სემინარიელები ასწავლიდნენ. ერთი ორად მომეტებულია ხარჯი და სხვაში მაინცა-და-მაინც შესამჩნევი არასფერი!.. ამისათვისაც კრებამ ითხოვა, რომ პარალელურ განყოფილებაებში მიეცეს ნება სწავლებისა სემინარიაში კურს დასრულებულთ და თუ ვინმე აკადემიელი დათანხმდება სემინარიელის ჯამაგირზედ, მაშინ აკადემიელს მიეცეს მასწავლებლის ადგილი. მრავალს ადგილას აკადემიელები სულ უადგილოდ რჩებიან და ისინი სრული თანახმანი იქმნებიან მიიღონ წელიწადში 500—600 მანეთი, ვინემ უადგილოდ დარჩნენ. ამბობენ, რომ ასეა გარდაწყვეტილი ერთხელ და მისი შეშლა არ შეიძლებაო. როდესაც ამისთანა გარდაწყვეტილება დადგინდა, ისეთი დრო იყო, რომ აკადემიელი მაშინ არ იშოვებოდა მეტიც რომ დანიშნოდა ჯამაგირი. დღეს სულ სხვა დროა. დღეს უადგილო აკადემიელებმა იქნამდისინ მიიყვანეს სამასწავლებლო გამგეობა სინოდისა, რომ იგი იძულებული შეიქმნა გამოეცხადებია მათთვის სამრევლო სკოლებში წასულიყვნენ მასწავლებლებად. ფრიად საჭიროა, რომ სასწავლებლები მეტი იყოს, ვინემ დღეს არის და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მასწავლებლის დაჭერა შეიძლება ზომიერი ფულით და იმ ჯამაგირით, რომელიც სემინარიელებს აქვს დანიშნული სასწავლებლის წესდებით. ჩვენ მრავალი პირები ვიცით სამასწავლებლო ინსტიტუტში კურს შესრულებულნი, რომელნიც ისე მშვენიერად ასწავლიან არითმეტიკას, რომ აკადემიელი მათ ვერც კი შეედრება. ის წესები რომ იყოს შემოღებული, რაც ეხლა გიმნაზიებში სუფევს, მაშინ კიდევ ჰო! ვინაიდგან ეს წესები არ არიან ჩვენში შემოღებულნი, რატომ არ უნდა შეიძლებოდეს იმისთანა საადვილო საგნების სწავლება, როგორც კატეხიზმო, საღმრთო ისტორია, არითმეტიკა, გეოგრაფია და სხვანი არიან, მიენდოს სემინარიელებს და ამით ეკკლესიები და სამღვდელოება განათავისუფლონ უსარგებლო ხარჯისაგან? თუ მაინც და მაინც რუსეთში არ მოხერხდება ეს, ჩვენში მაინც უნდა მიჰხედონ სამღვდელოების სიღარიბეს... მრავალს რასმეს არის მოკლებული ჩვენი მხარე, როგორც მაგალითებრ თემობას, ნაფიც მსაჯულებს და სხ. შეიძლებოდა ასე მომხდარიყო ამ შემთხვევაშიაც, რადგან სწავლის საქმე თითქმის ისე მიდის, როგორც წინად მიდიოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 17 ოქტომბერი ქუთაისში.

ღვთისგან დალოცვილი დღეაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი დილა გათენდა 17 ოქტომბერს ქუთაისში. სპეტაკივით მოწმენდილი ცა, მყუდროებით სავსე სუფთა ჰაერი, პატარძალივით მოკაზმული ფერად-ფერადი მცენარებით, კოხტა იმერეთი—ყოველივე ეს რაღაც დიდის შვებითა და მხიარულებით აღფრთოვანებული შეეგება დღეს დიდებულად აღმომავალს ბრწყინვალე მნათობს და პირმცინარეთ მიესალმა მას. გამოიღვიძა ჩვენმა ქუთაისმა, ხელ-პირი დაიბანა და გამოჰკიდა თავის სახლებზედ ნიშნად ამ დღის დიდის მნიშვნელობისა წითელ-ყვითელი დროშები. ძვირად გვინახავს ასე შემკული, შეთანხმებული, ასე ერთგვარი და ჰარმონიულად შეწყობილი გარეგანი ბუნების მხიარული, მშვიდი დარით პირმცინარე სახე და ხალხის შვება-ლხენით სავსე გუნება და შინაგანი განწყობილება. ნეტა რა მიზეზი ახარებდა ან ერთსა და ან მეორეს? დღევანდელს ბუნების მხიარულების მიზეზს ვერ მოგახსენებთ, რადგან მისი გულის კანონები ჯერ ძლიერ შორს არის ჩვენგან მიმალული და არც მისდევენ იგინი ჩვენი გულის მოძრაობის კანონებს: ხშირად, როცა ჩვენ ვსტირით, დედამიწაზე გლოვა ზარისა და სისხლის ღვრის მეტს ვერას ვისმენთ და ვერას ვხედავთ,—ბუნება მშვენიერ გუნებაზეა, მხიარულის და შვებით სავსე სახით დასცქერის ყველა ამ ჩვენს უბედურებას, ზოგჯერ-კი — ჩვენ რომ ვმხიარულობთ და ლხინში ვართ—პირმოქუშული შეგვცქერის და ჭექა-ქუხილს გვაყრის თავზე, თითქო სწყენს და ეხარბება ჩვენი მხიარულება: ერთი სიტყვით ის თავის გზაზედ მიდის და ჩვენი მაჯისა და გულის ცემას, ეტყობა, არაფრად უგდებს ყურს. 17 ოქტომბერსაც რა იყო ამ მშვენიერი დარის მიზეზი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ქუთაისის მცხოვრებლები—ყველა ერთობით—რას გაემსჭვალა ერთისა და იგივე მხიარულობითა და სიტკბოების გრძნობით—ეს კი ვიცით. ეს იყო მოგონება ამ დღეს სასწაულებრივ გადარჩენისა სიკვდილისაგან ჩვენი საყვარელის **ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III** სა მისის უავგუსტოესის სახლეულობითურთ მატარებლის დამსხვრევის დროს ერთ რუსეთის რკინის გზაზედ, როდესაც იგი, მშვიდობით და მრთელად დაბრუნებული კავკასიიდგან, მიბრძანდებოდა პეტერბურღს თავის სასახლეში. ეს მატარებლის დამსხვრევა ისეთი საშინელი რამ იყო, ისეთი განსაცდელითა და რისხვა-ჟლეტით იყო სავსე, რომ მხოლოდ უეჭველს სასწაულებრივს ძალას, ღვთის მარჯვენს შეეძლო ამ ყოვლად შემმუსვრელის უცაბედათ მოვლინებულის სიკვდილის ბრჭყალებიდგან უვნებლად გამოეყვანა **ხელმწიფე იმპერატორი** და უავგუსტოესი მისი სახლეულობა! ეს იმას ჰგავს, ანთებულს ცეცხლში შთააგდონ და არ დაგწვას, ტყვია გულზე მოგხვდეს და არ განგგმიროს, საწამლავი დაგალევინონ და არა გევნოს რა. აქ იგივე ძალა და მარჯვენე ღვთისა მოქმედებდა, რომელმაც დანიელ წინასწარმეტყველი აღმოიყვანა უვნებლად ანთებულის სახმილიდგან და განძვინებულის ლომების ორმოდგან, მოსე წინასწარმეტყველი გადიყვანა მრავალის ებრაელთა ჯარით მშრალის გზით მეწამულს ზღვაში და იერიქონის კედლები დააქცია სამხედრო ძალის უხმარებლად...

ამბობენ, დღეს აღარ არის სასწაულებიო და სასწაულთმომქმედნიო. ეს რომ შემცდარი აზრია, — 17 ოქტომბერმა ნათლად დაგვიმტკიცა; ამ დღეს გვეჩვენა ჩვენ უდიდესი სასწაული, მოვლინებული თვით იმ პირზედ, რომელიც განაგებს ასი მილიონის კაცის ბედ-იღბალს, რათა ეს ასი მილიონი განემტკიცოს თავის სარწმუნოებაში და მხურვალე ცრემლით მადლობდეს იგინი მას თავისი ხელმწიფის სასწაულებრივ გადარჩენისათვის...

17 ოქტომბერი ქუთაისში საერთო ბრწყინვალე დღესასწაული იყო: სასწავლებლების, სასამართლოების, ყველა დუქნების და მაღაზიების კარები დაკეტილი იყო, ღია იყო მხოლოდ ეკკლესიების კარები, სადაც ასობით და ათასობით მიეშურებოდა ხალხი ღვთის სავედრებლად ამ ნეტარ სახსოვარს დღეს.

რასაკვირველია, დღევანდელს დღეს დღესასწაულობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელიც და ამ სასწავლებლის ეკკლესიაში თითქმის ყველაზე ადრე შემოჰკრეს წირვის დადგომის ზარს, რადგან შეგირდები აქედგან ნაწირვებს უნდა წაეყვანათ ქუთაისის სამხრეთ აღმოსავლეთის განაკიდეში 17 ოქტომბრის მოსაგონებლად ახლად საძირკველ გასკვნილს ეკკლესიაზედ ყოვლად სამღვდელოს მიერ გარდახდილ პარაკლისზედ დასასწრებლად. სასწავლებლის ეკკლესიაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც შაგირდებთან ერთად მოისმინეს წირვა სასწავლებლის მასწავლებლებმაც, განიცადეზედ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სასწავლებლის ზედამხედველმა ბატ. ა. ა. იაროსლავმა. თავის მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვაში მან ცხოველად გამოუხატა შაგირდებს, რომ ხელმწიფის და მის უავგუსტოესი სახლობის გადარჩენა 17 ოქტომბერს იყო ჭეშმარიტად სასწაულებრივი. მართლაც ისე დაასურათიანა მქადაგებელმა თვით მატარებელის დამსხვრევა, რომელსაც მოჰყვა ქლეტა და მუსრი, რომ მსმენელს არ შეეძლო არ დარწმუნებულიყო ღვთის განგებისაგან ხელმწიფის სასწაულებრივ გადარჩენაში. სიტყვამ შაგირდებზე ღრმა შთაბეჭდილება იქონია...

ნაწირვებს წყვილ-წყვილად დაწყობილი შაგირდები თავის მეთვალყურებითა, უფროსებით და მასწავლებლებითურთ გაემგზავრენ ახლად-შენებული ეკლესიისაკენ, რომელსაც, როგორც ვსთქვით, ახლად ჩაუგეს საძირკველი ქუთაისის სამხრეთ-აღმოსავლეთის განაპირეში. წირვის გამოსვლის შემდეგ სხვა ეკლესიებიდამაც ხალხმა ამ ახალ-ეკლესიას მიმართა ყოვლად სამღვდელოს პარაკლისზედ დასასწრებლად. დიდძალი ხალხი შეგროვდა ორისავე სქესისა, ყოველის წოდებისა, საქმისა, ხელობისა, სამსახურისა და აღსარებისა. თუმცა ბევრიდგან შორს იყო ეს ადგილი, მაგრამ მშვენიერი დარი ყველას აგულიანებდა სხვებს არ ჩამორჩომოდა. მოიყვანეს შაგირდები სხვა სასწავლებლებიდგანაც... ბოლოს მობრძანდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელიც ქალაქის სამღვდელოებით და მგალობლებითურთ. მოვიდა ადგილობრივი სამხედრო ჯარიც, მას მოჰყვა სამხედრო და სამოქალაქო წარჩინებული მოსამსახურე პირნი სადღესასწაულო ტანისამოსებით და ორდენებით აპრიალებულნი. ვიდრე პარაკლისი დაიწყებოდა, ყოვლად სამღვდელომ მოითხოვა სკამი, შედგა ზედ და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„დღევანდელი დღე, 17—ტი ოქტომბერი, ღირსსახსოვარი და შესანიშნავია ყველასათვის, იმიტომ, რომ დღეს სასწაულებრივ გადარჩა სიკვდილისაგან ხელმწიფე ჩვენი იმპერატორი თავისი უავგუსტოესი სახლეულობითურთ მატარებელის დამსხვრევის დროს. ჭეშმარიტად მარჯვენემან ღვთისამან გადაარჩინა იგი სიკვდილისაგან იმ საშინელის განსაცდელის დროს, რომელშიაც შთავარდა ყველა მატარებელში მსხდომი მის დამსხვრევის წამს! ყველას თავს დასტრიალებდა სიკვდილი, ყოველივე იმსხვრეოდა, იწვოდა, იშლებოდა და ირღვეოდა გარეშემო, თვით ხელმწიფეს გადაენგრა თავზედ მატარებლის ოთახი, ამ ოთახის კედლები, სახურავი, თვით თვლები თვალის დახამხამების ხანს დაიმსხვრა და გაიბნა ჰაერში, დარჩა მხოლოდ მისი იატაკი და ამ იატაკზე უვნებლად და მრთელად თვით ხელმწიფე და მისი სახლეულობა.

დღეს ჩვენ ჩვენი ხელმწიფის ამა სასწაულებრივი გადარჩენის მოსაგონებლად ვიხდით პარაკლისს ამ ადგილას, სადაც ახალი ეკლესიის საძირკველი ჩავდგით ამავე დიდი შემთხვევის მოსაგონებლად და სამახსოვროდ. ამ ახალს ტაძარს აქვს ორგვარი მნიშვნელობა: პატრიოტული და ადგილობრივი. პატრიოტული მნიშვნელობა ამ ეკლესიის მდგომარეობს მასში, რომ მას ჩვენ ავაგებთ, როგორც მამულის შვილნი და ერთგულნი ქვეშევრდომნი ჩვენის ხელმწიფისა, მოსაგონებლად მისის და მისი უავგუსტოესის სახლეულობის სასწაულებრივი გადარჩენისა სიკვდილისაგან; მრავალი ტაძრები ააგეს და ბევრი სხვა საქმეები გააკეთეს ამა დიდის შემთხვევის მოსაგონებლად რუსეთის ყოველ სხვა ნაწილებში და კუთხეებში,—ჩვენ ბევრმა დაგვასწრო ამ საქმეში, თუმცა ყველაზე უწინ ჩვენ გვმართებდა ამ საქმის ხელის მოკიდება, რადგან ხელმწიფე იმპერატორს ეს საშინელი განსაცდელი შეემთხვა ჩვენგან—ქუთაისიდგან წაბრძანების შემდეგ.—მეორე ე. ი. ადგილობრივი მნიშვნელობა ამა ეკლესიისა ისაა, რომ ჩვენი ქალაქის ამა განაპირის ნაწილში არ არის ეკლესია, თუმცა დღეს ათასი სული მეტი ცხოვრებს აქ სოფლიდგან გადმოსახლებული ხალხი და ყოველ წლობით მატულობს იგი. ქალაქის ეკლესიები ყოველ-კვირა უქმე დღე სავსე არის მლოცველებითა და ამათთვის ადგილი აღარ რჩება. დიდი კეთილი საქმე იქნება ამდენ სულს აუშენდეს აქ ეკლესია, სადაც მათ შეეძლოთ ლოცვა და ღვთის ვედრება. ამისათვის ყველანი მოვალე ვართ, შეძლებისა მებრ, გამოვიღოთ შეწირულება ამა ეკლესიის აღსაშენებლად და დასამთავრებლად».

ყოვლად სამღვდელოს სიტყვას მოჰყვა ჩამოკრება შეწირულებათა.... დიდძალ შეგროვილ ხალხში ჩაერივნენ ალერსიანი სახით, ვერცხლის ლანგრებით ხელში, ქალწული ქალები და, მგონია, კარგა ძალი ფულებიც მოაგროვეს. ასე იდღესასწაულეს ამ წელში 17 ოქტომბერი ქუთაისში...

იოსებ ბზვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ეკკლესიების კურთხევა და მღვდელმთავრის რევიზია შორაპნის საბლალოჩინო მაზრაში.

წინა ნომერში ჩვენ ვაცნობთ მკითხველებს, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ამ თვის პირველ რიცხვებში ეკკლესიების საკურთხად და სარევიზიოდ მიბრძანდება შორაპნის საბლალოჩინო მაზრაში-თქო. რადგან დღეს ასე გახშირებულია წერა მღვდელ-მთავრების რევიზიაზედ და ამ რევიზიების მნიშვნელობაზედ, ამიტომ ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა მოუთხრათ ჩვენს მკითხველებს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ჩვეულებრივ რევიზიაზედ საზოგადოდ და კერძოდ ამ უკანასკნელზედ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველი შეიტყობს ჩვენი ნაამბობითგან ბევრს რამე იმისთანას, რომელიც საუკუნო სანახსოვროდ დარჩება მას თავის სიცოცხლეში...

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის რევიზია არა ჰგავს არც ერთი მღვდელ-მთავრის რევიზიას. ყველამ კარგად იცის, რომ ზოგიერთ ეპარქიებში, სადაც ეკკლესიებს ეტლები არ მიუდგება, ან რკინის გზა არ ეახლოვება, ეკკლესიები და სამწყსონი სრულებით მოკლებულნი არიან მღვდელ-მთავრის ხილვას და მათგან სწავლა-ქადაგების მოსმენას. ჩვენში კი, მადლობა ღმერთს, ადგილობით მცხოვრებ მღვდელმთავრებს მთა-გორები და აღმართ-დაღმართები არ უშლიან მათდამი რწმუნებული ეკკლესიების და სამწყსოთა დახედვას. ადგილობითი მღვდელ-მთავრები ისე მიჩვეულნი არიან ცხენებით და ჯორებით მოგზაურობას, რომ მათ დაუხედავი არ რჩებათ არც ერთი მრევლი. სამ-ოთხ წელიწადში ადგილობითი მღვდელ-მთავრისაგან ერთხელ სამრევლოთა დახედვა და რიგიანი დარიგების მიცემა და საუბრის გამართვა მშვენიერ კავშირს ჰბადავს სამწყსოთა და მღვდელ-მთავართ შორის. ცხენით ანუ ჯორით და მცირე მხლებლებით მოგზაურობა სრულებით არ ამცირებს მღვდელ-მთავრებს სამწყსოის თვალში. წინაალმდეგ ხალხი უფრო პატივსა სცემს მათ და უყვარს იგინი. ამ უკანასკნელ დროს, მართალია, სწერენ სოფლის გაუნათლებელ ხალხზედ, რომ მას ვითომ სრულებით გაუგრილდა გული სარწმუნოებაზედო, სამღვდელოების პატივისცემა აღარ აქვსო, სამღვდელოების სიტყვა-ქადაგებას გავლენა არა აქვს სამწყსოზედო და სხვ., მაგრამ ჩვენ ეს არ გვჯერა. მართალია, ჩვენში ხალხი ეპისკოპოსის ცხენის ნაფეხურს არა ჰკოცნის და მღვდელ-მთავარსაც, ერთი შეხედვით, უბრალოდ იღებს და ესაუბრება, მაგრამ როდესაც სარწმუნოებაზედ მიდგება საქმე, მაშინ შეიტყობთ თქვენ, რომ ჩვენი ხალხის გულში სარწმუნოების ნაპერწკალი დღესაც ღვივის.

ამას წინეთ რუსეთის ერთი მღვდელ-მთავრის ეპისტოლე წავიკითხეთ. ამ ეპისტოლეს სწერდა იგი ერთი მაზრის სამწყსოს. ამ ეპისტოლეში მღვდელ-მთავარი სთხოვდა სამწყსოს, რომ მათ ყური არ ეგდოთ ვიღაცა ერთი მეწაღისა და ერთი დურგლისათვის, რომელნიც თქვენში მწვალებლობასავრცელებენ და მართლ-მადიდებლობის წინააღმდეგ გიქადაგებთო. მე, სწერდა მღვდელ-მთავარი, შევიტყე, რომ მრავალი თქვენგანნი გადაუყვანიათ მათ თავის მხარეზე და კანონიერი მღვდლები და ეკკლესიები დაუტოვებიათო». ბოლოს მღვდელ-მთავარი აძლევდა მათ დარიგებას, რომ ნუ დაშორდებიან იგინი თავიანთ ეკკლესიებს და ნუ აღუდგებიან წინ თავიანთ მწყემსთა სწავლა-დარიგებას. ამისთანა ამბები სწორეთ გასაოცარია ჩვენთვის. აბა ერთი სინჯონ ამისთანა მქადაგებლებმა თავიანთი სწავლა-მოძღვრების გავრცელება ჩვენს ხალხში! არა თუ მეწაღეებს და დურგლებს, აკადემიაში კურს შესრულებულებიც რომ მოვიდნენ ხუთი ჯვარით გულზე ჩამოკიდებულნი, იმათთაც არას გაუგონებენ და არ დაუჯერებენ!.. ამ მხრით რომ ჩვენი სოფლის ხალხის ცხოვრებას თვალს გადაავლებ, სწორეთ ბევრს რამ სანუგეშოს დაინახავ.

შენიშნულია საზოგადოთ, რომ საქართველოში მღვდელ-მთავრები ძლიერ დაახლოებულნი ყოფილან სამწყსოზედ, და ამ დაახლოვებას მშვენიერი გავლენა ჰქონია და აქვს დღესაც სამწყსოთა სარწმუნოებრივ და ზნეობრივ მდგომარეობაზედ.

იმერეთის, სამეგრელოის და აფხაზეთის ეპარქიებში არ არის ისეთი სოფელი და ეკკლესია, რომ ყოვ. სამღვდელო გაბრიელს არ დაეთვალიერებიოს და მისი სიტყვა-მოძღვრება არ მოესმინოს მრევლს. რაც უნდა ცუდი ამინდი და ცუდი გზები იყოს, ყოვლად სამღვდელო გაბრიელი არ ერიდება თავის შეწუხებას, როდესაც ეკკლესიების საკურთხად იპატიჟებენ მას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ნოემბერს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი გაემგზავრა ყვირილაში და იქიდამ წაბრძანდა ეკკლესიის საკურთხად სოფ. ტბაკინში, რომელიც შორავს ყვირილას 6 ვერსით. შაბათს დილით, წირვამდის შეასრულა მათმა მეუფებამ ტაძრის კურთხევა და შემდეგ სწირა ადგილობითი სამღვდელოების თანადასწრებით. წირვის გათავების შემდეგ შეკრებილ ხალხს მათმა მეუფებამ უთხრა სიტყვა ეკკლესიის მნიშვნელობაზედ და იმაზედ, თუ როგორ უნდა ვსარგებლობდეთ სულიერად და ხორციელად ეკკლესიით. სიტყვის გათავების შემდეგ მათი მეუფება შებრძანდა ტაბაკინის სამრევლო სკოლაში, გამოცადა მოწაფეები და დაასაჩუქრა იგინი ჯვრებით და წიგნებით....

(დასასრული შემდეგ ნომერში).

## ურიის მონათვლა გორში.

ოქტომბრის თვრამეტს გორში მოინათლა ერთი ცხინვალელი ურია. ამ ნათლობამ ურიებში ალიაქოთი გამოიწვია და ამიტომ მეტი არ იქნება დაწვრილებით ავსწეროთ. ცხინვალელს ურიას დავით მლოს ძეს ხუხაშვილს, რომელიც ეხლა გაქრისტიანდა, დიდი ხანია ჰსურდა, მიეღო ქრისტიანობა, მაგრამ ცხინვალელმა ურიებმა, გაუგეს თუ არა ეს აზრი, წინაამდეგნი გაუხდნენ და დაუწყეს დარიგება, მაგრამ ხუხაშვილი მტკიცედ ადგა თავის აზრს. ურიები არ შეჩერდნენ; როგორც ამბობენ, გადაჰკიდეს ხუხაშვილი თავის სახლის—კაცს, რომელიც დასჭრა. ამ საქმის გამო იგი 1887 წელს სასამართლოს გარდაწყვეტილებით, სახლის-კაცის დაჭრისათვის გაგზავნეს სარატოვში. როცა სასჯელის ვადა გაუვიდა, სარატოვიდამ თურმე დაეკითხნენ ცხინვალის საზოგადოებას, გსურსთ თუ არა, რომ ხუხაშვილი უკანვე დაბრუნდესო. მაგრამ ვიდრე საზოგადოება განაჩენს დაადგენდა, ხუხაშვილი უკვე გამოგზავნეს სარატოვიდამ ქ. გორში, სადაც იგი გამოეცხადა გ—ნ მაზრის უფროსს, რომელმაც გაანთავისუფლა. განთავისუფლების შემდეგ ხუხაშვილმა კვალად დაიწყო ქრისტიანობის მიღების შესახებ ლაპარაკი, განაცხადა სურვილი ქრისტეს სარწმუნოების მიღებისა. მოჰკრეს თუ არა ყური ცხინვალელმა ურიებმა, რომ ხუხაშვილი ქრისტიანობას იღებსო, მაშინვე დაადგინეს განაჩენი, ზოგ-ზოგს ქართველებსაც ხელი მოაწერინეს, რომ არა გვსურს, ხუხაშვილის ცხინვალში დაბრუნებაო. ეს ქაღალდი მაზრის უფროსს მიართვეს, მაზრის უფროსმა დააპატიმრებინა და დღესაც ახალი გაქრისტიანებული ციხეში ზის.

გორის საპყრობილის ტუსაღებს საეკკლესიო წესებს უსრულებს გორის საკრებულო მაზრის მღვდელი ბლაღოჩინი ი. გამრეკელი; ციხეში, სხვათა შორის, შეხვდება ხუხაშვილს, რომელიც განუცხადებს სურვილს გაქრისტიანებისასა და ცხინვალელს ურიების მიერ დევნის ამბავსაც. მ. გამრეკელმა განუმტკიცა აზრი გაქრისტიანებისა. ხ—მა მიართვა ქაღალდი თავის სურვილის შესახებ ერთი გუბერნატორსა და მეორე—საქართველოს ექსარხოსს. არქიერისაგან მ. გამრეკელს ნება მოუვიდა, მოენათლა ხუ—ი. გაიგეს ცხინვალელმა ურიებმა, რომ აღარა ხუმრობსო, დაფაცურდნენ, შემოუთვალეს, ნუ მიიღებ ქრისტიანობასა და სამოცს თუმანს ფულად მოგცემთო, მამულსაც აგიჩენთ, განაჩენსაც დავადგენთ, რომ განთავისუფლონო. მაგრამ ხუხაშვილმა თავისი დიდი ხნის სურვილი განახორციელა: ამ თვის 18-ტს, როგორც ვსთქვით, ქრისტიანობა მიიღო, მღვდელმოქმედება შეასრულა მ. გამ—მა. ახლად ნათელღებულს სახელად უწოდეს იოანნე და გვარად—იკანაშვილი; ნათლობის შემდეგ მ. გამრეკელმა შემდეგი შესაფერი სიტყვა უთხრა ახლად მონათლულს:

«ახლად მონათლულო ძმაო იოანნე!

მოგილოცავ საიდუმლო ნათლის-ღების მიღებას; ბედნიერი ხარ თქვენ, ახლად მონათლულო იოანნე, რომ დაუტოვეთ ებრაული სარწმუნოება და მიიღეთ ქრისტიანობა. ბედნიერი ხართ იმიტომ, რომ დღეს ემბაზში წმიდა ნათლის-ღებით შენ ახლად დაიბადე სულიერ ცხოვრებისათვის: შენ განიბანე და განიწმიდე მამა-პაპათა და შენ მიერ ჩადენილ ცოდვებისაგან; საიდუმლოთ მირონ-ცხებით მოგენიჭა შენ მადლი სულისა წმიდისა. მაშ, გახსოვდეს მარად, ძმაო იოანნე და ნუ დაივიწყებ ამ ღვთის ნიჭთა, რომელნიც შენ გარდმოგეცა. მტკიცედ გახსოვდეს ის აღთქმანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც შენ მიეცი წინათ მონათვლისა და ეცადე ისრე მოიქცე, როგორც შეშვენის ჭეშმარიტ ქრისტიანეს, მადლობდე უფალსა ღმერთსა, რომელმანც გამოგიყვანა შენ ბნელისაგან და მოგანიჭა ნათელი ქრისტეს სარწმუნოებისა. ამიერიდგან შენ გეწოდება ქრისტიანული სახელი, ამიერიდგან გახდები მემკვიდრე ზეციური სასუფეველისა; ამიერიდგან ვალდებული ხარ იწყო ახალი ცხოვრება. მოვალე ხარ დაუტეო ყოველივე შეუსაბამო საქციელი, ისეთი, რაიცა არ შეესაბამება ნამდვილს და ჭეშმარიტს ქრისტიანს და მარად უნდა მისდევდე სახარების მცნებას; წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო ქრისტიანული სახელი არ გიშველის, უკეთუ შესაბამ ქრისტიანულს საქმეს არ მოიქმედებ, მაშინ უფრო პასუხის გებაში მიეცემი.

რადგან დღეს შენ ახალი ქრისტიანი, მაშ უმთავრესად და უპირველესად უნდა დაიცვა სიყვარული მახლობელთა, მტერნიც კი უნდა გიყვარდეს ისრე, როგორც შენი თავი და მათთვისაც ლოცვილობდე და არავის ბოროტისათვის ბოროტით არ უნდა გადაუხადო. ეს უმთავრესი მცნებაა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი—განსხვავებული და შესანიშნავი. გარდა ამისა შენ ვალდებული ხარ იყო ერთგული და მორჩილი შვილი ეკკლესიისა, სიყვარულით და ერთგულობით უნდა ასრულებდე ეკკლესიურს წესებს და სჯულს. რომ კარგათ შეისწავლო ეკკლესიური წესები, საჭიროა კვირა-უქმე დღეებში ხშირად იარო ეკკლესიაში, თუ რომ კეთილკრძალულად და ყურადღებით იდგები ტაძარში, მაშინ ადვილად და ჩქარადაც შეგიძლიან შეისწავლო ყოველივე ის, რაც საჭიროა სულის ცხოვნებისათვის იმ ქვეყნად და სააქაო ცხოვრებაში კეთილად ცხოვრებისათვის. ეკკლესიაში შენ ჰპოვებ: მწუხარებაში ნუგეშინისცემას, შენგან ჩადენილ ცოდვების—მოტევებას. ამასთანავე ეცადე გახდე პატიოსანი, სარწმუნო და სასარგებლო მამულის შვილი—აღმასრულებელი ხელმწიფის დადგენილობათა და განკარგულებათა. თუ ასრე მოიქცევი, მაშინ შენ შეიქნები ჩვენს საზოგადოებაში საქები, მამულისთვის სასარგებლო და უფლისაგანაც მიიღებ საუკუნო და ნეტარ ცხოვრებას.

და ბოლოს თქვენც მოგმართავთ, ყოვლად პატიოსანო მიმრქმელო, სიტყვით: ეს ნათელ-ღებული იოანნე ეკკლესიამ ჩაგაბარათ თქვენ, რათა ასწავლოთ, განამტკიცოთ და მისი ხელმძღვანელი იყოთ ქრისტიანულს სარწმუნოებაში. ეს არის უმთავრესი დანიშნულება და ვალდებულება მიმრქმელისა. ამიტომაც, შეძლებისა და გვარად, ნუ უარჰყოფთ იმის აღსრულებას, რაც იკისრეთ მოვალეობად.

ჩაუნერგეთ ახლად განათლებულს უმაღლესნი ჭეშმარიტებანი ქრისტეს სარწმუნოებისა. თქვენ უნდა იყვნეთ ხელმძღვანელნი, მასწავლებელნი და დამყენებელნი მის კეთილ გზაზედ იმიტომ, რომ გახდით თავსმდებნი წინაშე ეკკლესიისა; მაშ ეცადეთ, რომ იგი აღარ დაუბრუნდეს წინანდელს გზას და არ გახდეს მსხვერპლი საუკუნო ტანჯვისა. თუ ამას აღასრულებთ, მაშინ ადვილად შეგეძლებათ კადნიერათ სთქვათ საშინელი განსჯის დროს წინაშე ქრისტე მეუფისა: «აჰა ჩვენ და ეს შვილიც, რომელიც შენ მოგვეც ჩვენ».

ამ სიტყვის წარმოთქმის დროს ახლად მონათლულს ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები და პასუხად უთხრა მღვდელს: «ახლა თუნდაც კატორღაში გამგზავნონ, აღარ მეშინიან, რაღაც სიამოვნებას ვგრძნობ და სრული იმედი მაქვს, რომ ქრისტე ღმერთი ყველა დანაშაულს მაპატიებს».

მიმრქმელად იყო ზორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომელსაც მ. ზამ—მა მიჰმართა შემდეგის სიტყვებით: ეს ნათელ-ღებული იოანე ეკკლესიამ ჩაგაბარა თქვენ, რომ ასწავლოთ, განამტკიცოთ და ხელ-მძღვანელი იყოთ. ეს არის უმთავრესი დანიშნულება და ვალდებულება მიმრქმელისა. ბ—ნმა ი. დ. სულხანიშვილმა უთხრა თავის ნათლულს: «მე დღეს, ძმაო და შვილო იოანნე, შენი სულიერი მამა გავხდი, შენ დღეს ჩემი სულიერი შვილი ხარ; დარწმუნდი, რომ ჩემს პატარა შვილებში არ გამოგარჩევ და ისე მეყვარები, როგორც ისინი. ყოველს ღონეს ვიღონებ, რომ კეთილად იცხოვრო; ნურავისი ნუ გეშინიან, მხოლოდ გეშინოდეს ღვთისა, და თუ შეურაცხჰყოფას მოგაყენებს ვინმე, ქრისტეს გულისათვის უნდა დაითმინო....

მეტად საგრძნობელი იყო როგორც დარიგება მ. ზამ—სა, ისე სულხანიშვილისა, მით უმეტესად, რომ ეს სიტყვები წარმოსთქვა სატუსაღოს კედლებში, სადაც მთლად ტუსაღები დაესწრნენ, რომლებიც, ამ ტკბილის სიტყვების გამგონენი, ცრემლებს აფრქვევდნენ. ტუსაღებს გარდა ამ ამბავს დაესწრნენ ტუსაღთ-ზედამხედველი ბ—ნი ყიფიანი და სხვანი მრავალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამტკიცებლად იმისა, რომ ახლად მონათლულს ცხინვალელი ურიები აწუხებდნენ, უგზავნიდნენ კაცებსა, რომ ნუ მიიღებ ქრისტიანობასაო, ჰპირდებოდნენ ფულებსა და სხვანი,—მოვიყვანთ შემდეგს საბუთს: საპყრობილის ზედამხედველმა ბ—მა ჭიფიანმა ხელთ იგდო ცხინვალელ ურიისაგან მოწერილი წერილი ერთს ურიასთან გორში. სწერს: გორის საპყრობილეში რომ ურიები არიან, ერთს-ერთს დაავალეთ, მიეცით ოცი თუმანი წინად, რათა საწამლავი დაალევინონ ხუხაშვილსა და მოჰკლანო, უკეთუ ქრისტიანობას მიიღებსო; ორმოც თუმანსაც მერმე მივცემთ ამ საქმის აღმსრულებელსაო. უთხარით, ნუ მოინათლება, თორემ არ ვაცოცხლებთო. ამ სამოც თუმანს მაგას მივცემთ, შეგროვილი გვაქვს სამლოცველოშიო. თუ მოინათლება, აღარ ვაცოცხლებთო. ეს წერილი გადასთარგმნა ბ—ნმა ჭიფიანმა და გაგზავნა პროკურორთან და მაზრის უფროსსაც შეატყობინა.

## ოდესის და ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორის შესანიშნავი რევიზია.

წელს 5 მაისს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, ხერსონის და ოდესის მთავარ-ეპისკოპოსმა ნიკანორმა წარადგინა ხერსონის სასულიერო კონსისტორიაში შემდეგი წინადადება: **ს. ივანოვკაში**, სადაც მივედით 4 მაისს, ეკკლესია ძალიან ძველია და პატარა. მოხუცებულმა მნათემ გვარად გორმკოვმა სთქვა: «ამ 15 წლის წინად სამს მაისს ყოვლად სამღვდელო მთავარ-ეპისკოპოსმა ლეონტიმ ნახა ეს ეკკლესია უფრო ცუდს მდგომარეობაშიო. მას აქეთ ეს ეკკლესია ცოტაოდნად გაუმჯობესდა». გალობა ძალიან ცუდია. საერო სკოლაში ერთ კითხვაზედაც ვერ მომიგეს პასუხი. ცხადია, რომ მღვდელი, თუმცა ის ახალგაზრდა სტუდენტია, მაგრამ დაუდევნელი უნდა იყოს. ამბობენ, რომ იგი დიდი მეოჯახე კაციაო; მაგრამ ძალიან ცუდად ასწავლის საღმრთო ისტორიას მეორე სოფელშიაც, სადაც ადგილობითი მოხუცებული მღვდელი დ. აღარ დაიარებოდა ადგილობით საერო სკოლაში, და ამიტომ იგი დათხოვნილ იქმნა საღმრთო სჯულის მასწავლებლის ადგილიდგან.

**სოფელს პეტროოსტროვში** ეკკლესია არის ქვისა და შესაფერად არის მორთული. აღშენებულია სახელმწიფო ფულებით, როცა აქ ჯარი მდგარა და მასუკან უყურადღებოდ არის მიტოვებული. სახურავი და კედლები შესაკეთებელია. ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ მლოცველზე ბევრი ხატები, ტილოებზე დახატულნი, რომელნიც მთლად ძველნი და გამურულნი არიან. კლიროსიდგან მოისმოდა ბოხი ხმა მედავითნისა და რამდენიმე მგალობლისა. მოწაფეები იდგნენ მარჯვენა მხარეზე, მაგრამ არ გალობდენ.

**სოფელს კორობჩინში**, სადაც ეკკლესიას მართევენ მამა-შვილი, მამა მღვდელია და შვილი მთავარ-დიაკონი, ჩვენ შემოგვეგებენ გალობით „ანგელოსი გიგალობს“. მთავარ დიაკონმა დაგვარწმუნა, რომ იგი მთელ სკოლას ასწავლის გალობას. ეკკლესიაში რიგიანად არ ინახება საეკკლესიო ფული, ფულებს ინახავს თავის სახლში მნათე და არავინ არ ზრუნავს, რომ ფულები რიგიანად ინახებოდეს. ამ საქმეს არც ბლალოჩინი აქცევს ყურადღებას. ეკკლესიაში ხმარობენ ყალბ სანთელს. აქ მარტო საქებია სკოლა, რომელსაც განაგებს მთავარ-დიაკონი. სკოლაში სწავლობს 100 ბავშვი. ხუთმა მოწაფემ შეასრულა სწავლა. ოთხი მათგანი ჩვენ გამოვსცადეთ და მშვენიერად მომზადებულნი იყვნენ. ტაძარი მეტის მეტი ძველია და არ განახლდება, სანამ ზემოდ აღნიშნული მღვდელი იქმნება მასში მღვდლად.

აქ საჭიროა შემდეგი: 1) მიენდოს მეზობელს ბლალოჩინს მღვდელს ბ., რომ იგი მივიდეს ამ სოფელში ადგილობით ბლალოჩინთან ერთად და ორივემ ფორმალურად მოახდინონ გამოძიება, თუ საიდგან, ანუ ვის შემოაქვს აქ ყალბი სანთელი, ღვთის-მსახურების შემდეგ სად ინახვენ სანთლის და განზალაკის ფულებს, თთვის გამთავეს ამოწმებენ თუ არა საეკკლესიო ფულებს, შემოწმების დროს იბარებენ თუ არა სამრევლოსაგან აღმორჩეულ კეთილ სინიდისიან კაცებს, და კანონიერად იწერება შემოსავალ-გასავალი თუ არა და მასთან მიეცეს დარიგება ბლალოჩინს გ-ს, თუ როგორ უნდა ინახებოდეს საეკკლესიო ფულები მნათეთათვის გამოცემულ ინსტრუქციის თანახმად. 2) მთავარ-დიაკონი ტ. ხელ-დასხმულ იქმნეს ს. სკ—ეის ეკკლესიის მეორე მღვდლად იმ პირობით, რომ სოფლის ბოლოზე დაარსოს სამლოცველო სახლი, რომელშიაც უნდა იქმნეს ღვთის-მსახურება მთელი წლის განმავლობაში, აგრეთვე გახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას მან სამრევლო სკოლა. ერთი სიტყვით, მან უნდა განამშვენოს ეს სამრევლო, რომელიც უყურადღებოდ არის მიტოვებული მღვდლის შეუძლებლობისა გამო.

ამავე წლის 7 მაისს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, **ხერსონის** და **ოდესის** მთავარეპისკოპოსმა შეიტანა **ხერსონის** სასულიერო კონსისტორიაში შემდეგი წინადადება: სოფ, **კორობჩინიდამ** ნოვოგოროდამდის ჩვენ დავსტოვეთ ორი ეკკლესია, რადგანაც პოლიციამ უარი გვითხრა იქ წაყვანაზე, წვიმებისა და ტალახის გამო.

პირველად ჩვენ ვინახულეთ **ილიას** ტაძარი, რომელშიაც მღვდლად არის **ე. ტ.** პირველად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ადგილობითმა მღვდელმა, რომელიც კამილავკას ძალიან ზევით იხურავს, თითქმის ერთ ვერშოკზე ზემოდ არის აწეული ყურებიდგან. მეორედ ის არის ცუდი, რომ კლიროსზე გალობენ, დაულიათ პირი და რაც შეუძლიათ ისე ჰყვირიან. მოწაფეები იქვე იდგნენ, მაგრამ არ გალობდენ. ასამაღლებლის დროს, მღვდელი რაღაც ბორძიკობდა. მშვენიერად და გასაგებად სთქვა მარტო ერთი ასამაღლებელი, „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“. მეტად ცუდია, როცა გალობის დროს უთავბოლოდ ჰყვირიან.

ეს მღვდელი მინამ იგი შეეჩვევა მღვდელ-მოქმედებას, დაბარებულ იქმნეს ორი კვირით ჩემი კარის ეკკლესიაში.

სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, როცა ვინახულეთ **ნოვომირგოროდის** საკრებულო ტაძარი. ხალხის გროვამ და მოწაფეებმა დასძახეს ტაძრის ეზოში: «კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა». მთავარი ძალიან მშვენიერად მსახურებდა. საკრებულო ტაძარი სწორედ ნამდვილია, იგი საკმაოდ დიდი არის, მაგრამ, საწუხაროდ, დღეს უყურადღებოდ არის დატოვებული. საჭიროა, რომ ეპარქიის ხუროთ-მოძღვარი გაიგზავნოს ამ ტაძრის შესამოწმებლად. **ტაძარში** გალობდა რამდენიმე ასი კაცი, უმთავრესად სკოლის მოწაფეები, რომელთა რიცხვია 200. საღმრთო ისტორიაში ყმაწვილები ძალიან მომზადებულნი იყვნენ.

საჭიროა შემდეგი ზომების ხმარება: 1) საჭიროა, რომ ამ სოფელში გაგზავნილ იქმნეს ეპარქიის არქიტექტორი, რომელმაც უნდა შეამოწმოს, თუ რამოდენად საიმედოა სობორო. 2) რადგან ეს ტაძარი არის სობორო და მღვდელი **ლ.** დამსახურებულია, ამიტომ დაბარებულ იქმნეს იგი ოდესაში, რათა აღყვანილ იქმნეს დეკანოზობის ხარისხზე 3) მღვდელს მ. ვ., რომელიც დაუღალავად მოღვაწეობს ქრისტეს ყანაში, გამოეცხადოს გულითადი მადლობა ჩემგან; 4) რომელიმე მდიდარი სამრევლოდგან გადმოტანილ იქმნეს მღვდლის ჯამაგირი და დაენიშნოს მღვდელს მ. ვ.

პოკროვის ეკკლესიის დათვალიერების დროს ძალიან სასიამოვნოდ დაგვირჩა, რომ ხსენებული ტაძარი შესაფერად არის მოწყობილი. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის **ნ. ა. ცვეტკოვს.** ეკკლესიასთან არის სკოლაც. მაგრამ ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ ეკკლესიის ახალგაზრდა სემინარიელმა მღვდელმა ბ., რომელსაც არაფერი არ შეუთვისებია იმ ჩემი დარიგებისაგან, რომელსაც მე ხშირად უმეორებ ხოლმე ახალგაზრდა სემინარიელებს საეკკლესიო ტიბიკონის შესახებ. წინააღმდეგ ამისა მას ძალიან მალე შეუთვისებია ის, რაც თავის ნებით გამოუგონებია ადგილობით სამღვდელოებას საეკკლესიო ტიბიკონის წინააღმდეგ. ჩამოლოცვის დროს მის ეკკლესიაში გალობენ: «ქრისტე აღსდგა». თვითონ ის კითხულობს ჩამოლოცვის დროს: «ქრისტე აღსდგა მკვდრეთით», როგორც აღდგომას. პირიქით მიმტკიცებდა იგი, რომ კონდაკში ასე სწერიაო. არც ერთს მათგანს არ ჯერა, რომ მე მათზე უკეთესად ვიცოდე საეკკლესიო ტიბიკონი და ამიტომ ეს ახალგაზრდა მღვდელიც კი ბედავს, რომ მე გამისწოროს.

მაისის ხუთს, საღამოთი დიდს წვიმაში ჩვენ მოვედით სოფელს **მალი გისკში**, სადაც დილით მოვისმინეთ წირვა. მღვდელი **უ.** მსახურებს წესიერად. როგორც ეტყობა, ის საქმის კაცია. იგი დაუღალავად ასწავლის ხალხს სარწმუნოებას და ლოცვებს. მაგრამ ხალხი, რომელიც სარწმუნოების შესწავლას არას დაეძებს, ისე გაბრაზებულა ამ მღვდელზე, რომ, როცა ეკკლესიიდამ გამოვდიოდი, მრევლმა მთხოვა ამ მღვდლის დათხოვნა. ჰყვიროდენ: «არ გვინდა იგი, არა გვსურს, რომ იგი ჩვენი მღვდელი იყოს». ამ სამრევლომ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, სჩანს, რომ ზოგიერთთა გაიძვერა პირებს გაუბრაზებია ხალხი მღვდლის წინააღმდეგ.

ეს დიდი ხნის ნამსახურები და მოღვაწე მღვდელი წარდგენილ უნდა იქმნეს სკუფიაზე. საჭიროა სა-

ხეში ცხოვრობს მედავითნე ვ. შ., რომელიც გარკვეული და კარგის ხმით კითხულობს საეკლესიო წიგნებს.

მთავარ-დიაკვნის საჭიროების დროს, შეიძლება იგი ხელდასხმულ იქმნეს დიაკვნად, თუმცა მას, სამწუხაროდ, მცირე განათლება აქვს მიღებული.

ალექსანდროვსკში სამრევლო მცირეა. ეკლესია პატარა და ღარიბია. მედავითნე არ არის ეკლესიაზე დანიშნული. მღვდელს ლ. ნ. დაუარსებია კიდეც სკოლა, რომელშიაც ასწავლის მისივე ქალი ელენე, რომელსაც სწავლა მიუღია ეპარქიალურს სასწავლებელში.

1) ამ მღვდელს ამ მცირე სამრევლოში ხუთი წლის სამსახურისათვის უნდა მიეცეს ნაბედრენიკი; 2) მის ქალს ელენეს გამოეცხადოს ჩემგან გულითადი მადლობა საეკლესიო სკოლაში მოღვაწეობისათვის; 3) მღვდელმა მთხოვა, რომ მასთან მედავითნედ გამწესებულ იქმნეს მისი შვილი, რომელსაც სწავლა დაუმთავრებია სამოსწავლებლო სემინარიაში. მე აღუთქვი მას ამის აღსრულება, რაც სასარგებლოდ უნდა დარჩეს ამ ეკლესიისათვის; 4) მოეთხოვოს მღვდელს დაწვრილებითი ცნობები, თუ რა იმოქმედა დაან დღეს რას მოქმედებს ადგილობითი ეკლესიისათვის ადგილობითი მემამულე, რომაელი ფრანგი.

დაბოლოს მიველით სოფელს ზლეკტიანი-ტაშლიკში. საზოგადოება დიდია. მამრთა სქესი იქმნება 2000 სულზე მეტი. ეკლესია პატარა და ღარიბია. გალობა ცუდია. უფროსი მღვდელი ე. კ. სულ ჭაღარაა, ეტყობა, რომ ძირამდის იპარსავს სქელს წვერს. სჩანს, რომ იგი მეორე მღვდელს დ. სჩაგრავს. თვითონ ასწავლის სალმრთო სჯულს საერო სკოლაში, რომლის მოწაფეებმა არასფერი არ იციან და ამავე დროს ნებას არ აძლევს მღვდელს დ., რომ მან მარტო ასწავლოს ესევე საგანი საეკლესიო სამრევლო სკოლაში. ამიტომ ყრთ კვირას ასწავლის ამ სკოლაში სალმრთო ისტორიას იგი კ. და მეორეს დ. საეკლესიო-სამრევლო სკოლის მოწაფეებმა მშვენიერად მომიგეს სალმრთო ისტორიაში, რისთვისაც მადლობელი ვარ მღვდლის დ..

აქ საჭიროა, რომ პირველი მღვდელი კ. ჩამოყვანილ იქმნეს მეორე ადგილზე, ხოლო მეორე მღვდელი დ. დაინიშნოს პირველ მღვდლად.

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება *).

### მანგლისისა.

1699 წ. [1]) ქ: ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა, მაკურთხეველმან ქართლისა კათოლიკოზმან დიასამიძემ პატრონმან იოვანე ესე მტკიცე წიგნი და სიგელი შეგკადრეთ და მოგახსენეთ თქვენ პატიოსანსა სამეუფოსა საყდარსა მანგლისისა ღმრთის მშობელსა და თქვენსა საჭეთ მპყრობელსა მანგლელ ეფისკოპოზს ჯავახიშვილს პატრონს გაბრიელს მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძი მამული არის აზნაურშვილი და გლეხნი მთასა ანუ ბარსა უკლებად კიდევე მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი გაგისამზღვრეთ ვაკე ღრისთავი გუდარეხი ცოვრეთი გარისი ვარხოვნა კრეფალიპნი უგუდეთი გოგას გვერდი და ახალ დაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგლისის გარეშემო ორი ოძისი და კველთა კიდევე თქვენდა ღმანელს სამწყოზედ სარჩელი შაგქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამზღვრა და გაერიგებინა და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ რომელიც ბატონიშვილს კათალიკოზს გაერიგებინა. ეს ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ხელმწიფეთა და დედოფალთაგან და არა შემდგომად ჩვენს კათალიკოზთა და ეფისკოპოზთაგან გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და კათოლიკე მცხეთის საყდრისა სამსახურსა შინა. დაიწერა წიგნი ესე თვესა მაისსა ოც-და-ექვსსა ქორონიკონსა ტპზ ხელთა მგალობლის იორამისათ. (ბეჭედი)

### ურბნისისა.

1807 წ. ყოვლად უსამღვდელოს ურბნელისათვის და წმ. სტეფანეს ეკლესიისათვის ჩვენ ერთობ-

---

*) იხ. «მწყემსი» № 20.

შენიშვნა. [1]) შინაარსი ამ გუჯრისა იხილე დ. ფურცელაძის წიგნში.

რივ ტინის ხიდელთ მიგვირთმევია სამს წელიწადში ერთხელ მემკვიდრესმ ერთი კოდი და ხიზანმა — ნახევარ კოდი დრამით, როდესაც თქვენ კაცს გვიბოძებ მოგართმევთ. იანვრის აП ქორონიკონს უჟე. [1])

მე თვალქლუას შვილი მანუჩარ ვსწერ, რომ ამ სოფლის მოხელეც ვარ და მოგართმევ[თ] სრულებით.

---

## მანგლისისა.

1713 ნებითა და შეწევნითა ღვთისათა [2]) მამისა ძისა სულისა წმიდისათა წმიდის იოანნე წინასწარმეტყველისათა წმიდისა იოვანე ნათლის მცემლისათა წმიდათა ყოვლად მახარებელთა და ყოველთა მოციქულთათა ამათითა მოწმობითა და თავდებობითა ჩვენ ღთის მიერ კურთხეულმა დიდად სახელოვანის და წამებულის მეფეთ მეფის გიორგის ნამსახურმა და ყანდარსთან ნაახლმან საჴეთ მპყრობელ მმართებელმან მანგლელ მთავარ-ეპისკოპოზმა დოლენჯის შვილმა ბატონმა არსენ ესე საბოლოვო სითარხნის წიგნი გიბოძე თქვენ მანგლისელებს მოყალნებს: ლალის სითარხნეს გვეაჯენით ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ლალა აშოგიკვეთეთ და ერთის დღის ხვნა და ერთის დღის ხვნა დაგადევით გავსინჯეთ ლალა არა ფერი არა შემოგვივიდოდა სულ თარხნებს მამულები შემოეყიდნათ ხარჯლის მეტი სარგებელი არა ქონდათ, ამ ერთის დღის ხვნის უფრო სარგებელი ქონდა, იმისთვის ლალა ამოვკვეთეთ. ვინცავინ ხარისხსა ამას ზედან დაბძანდეთ თქვენც ასევე დაუმტკიცეთ ვინცა და რამანცა ეპისკოპოზმა ხელყოს შლად ამისა მისის სახისაგანამც შეიშლებოს და რისხავსცა მას ღმერთი ყოვლისა მპყრობელი უხილავი მიუწდომელი და გარე შემოუწერელი ყოველნი მისნი წმიდანი ზეციერნი და ქვეყნიერნი ხორციელნი და უხორცონი მიეცეს სული და ხორცი მისი ცეცხლსა მას უშრეტსა ბნელსა მას გარესკნელსა მუნ იყოს მასზედან ტირილი და ღრჯენა კბილთა და ჩემთა ცოდვათა თვის განკითხვის ეს ლალა ამ მანგლისის

შენიშვნა. [1]) ეს გუჯარი არ არის დაბეჭდილი დ. ფურცელაძის წიგნში.

შენიშვნა. [2]) ეს გუჯარი დ. ფურცელაძეს აქვს დაბეჭდილი ორ სტრიქონად.

გარეშემ ამოგვიკვეთია თვინიერ არათუ ნასოფლარში ვინც ხნევდენ აქაური კაცი იმის ლალას მოსცემდეთ ამისი დამტკიცებელი ღმერთმა დაამტკიცოს მშლელი ღმერთმან შემალოს თავის სახისაგან ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცამეტსა თვესა მარტსა ოც-და-ცხრას დაიწერა ბელათა მგალობლის ბექასითა:

---

## ლარგვის მონასტრისა.

1761 წ. [1]) ჩვენ ერისთავმან დავით, ძემან იესესმა მოგახსენეთ და წყალობა გიყავით თქვენ ჩვენ ჩვენს სასუება ლარგვის მონასტრის არქიმანდრიტს, ღირს მამას გერმანეს ამ მიზეზით, რომ რადგან სიყრმიდგან მანდ გაზდილიყავ და დიდი ჭირნახული გქონოდა მაგ წმიდა ეკკლესიაზედ და შენს არქიმანდრიტობაში ხელვყავ მაგის ახლად აშენებად და ახლის საძირკველიდამ ვიწყეთ და აღვაშენეთ და დიდი სარჯელი და მუშაობა გარდიხადე. საფლავიც შიგავ გიბოძეთ პატარა ნათლის მცემლის ეკვდერში გარჯისა და ჭირნახულობის სამექფოდ და სხვა წინამძღვარი ნურც ვინ იკადრებს და არც იქნება და ნურარც ვინ მოინდომებს, ნურც ვინ ჩვენნი შემდგომნი ერისთავნი. შიგნით მაგ საყდარში დამარხვინებენ და გარეთ დიდს საყდარში უკანა სვეტებს უკან ჩრდილოეთის მხარეს დაემარხოდენ საწინამძღვროს საფლავის ალაგად ის განგვიწესებია ნებითა ღვთისათ. ასე დავამტკიცეთ: თვესა აგვისტრისა: ІЗ: ქორონიკონს ჩღმა.

---

## ყინწვისისა.

1685 წ. [1]) ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღვთისათა მეოხებითა: ყოვლათ: წმინდისა:....

და: ყოვლათ: წმიდათა: ღვთისათა: ზეცისა: და ქვეყანისათა: ხორციელთა და უხორცოთათა: და

---

[1]) დ. ფურცელაძეს ლარიგვისის მონასტრის გუჯრები არ დაუბეჭდია. «სამეგურის ჩრდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის გსანა, სამხრით ჭურთის წყალი. ეგუნებითო შემკული ყოვლითა, აწ ჰყავს სამარ». (გეოგ. ვახუშტისა გვ. 230).

შენ. [1]) ხვედურეთის დასავლეთით არის მონასტერი ყინწვისი, წმიდის ნიკოლოზისა, გუნბათიანი, დიდ შვენიერად ნაშენი, მაღალს ადგილსა ზედ. ჰყავს წინამძღვარი, ამის სამხრით მთას შინა არს სარჯეს მონასტერი ეგუნებათო... (გეოგრაფია ვახუშტისა, გვ. 202).

ცაცა ციციშვილი მოკლულ იქმნა მტრებისგან გიორგი მე-XI მეფობაში (1675—1688) «ქართ. ცხოვ.» II, 567.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეოხებითა: წმიდისა: ნიკოლოზისათა: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: და: ხანთა: გასათავებელი: სამკვიდრო: და: საბოლო: წიგნი: გიბოძეთ: ჩვენ: ფანასკერტელმა: ციცი: შვილმან: პატრონმან: ციციმ: ბიძაშვილმან ჩვენმა: ედიშერ: ძმამ: ან: ჩვენმან: პაპუნამან: და: სეხნიამა: შენ: ფელქრის შვილს: მამულასა: დათუნასა: პაატასა: და ოთარასა: და ბერსა: გოდერძის: შვილთა: და მომავალთა: ყოველთავე: სახლისა: თქვენისათა: ასრე: რომე: ვენახი: წმინდის: ნიკოლოზისა: გქონდათ: და ბატონი: ბიძა: ჩემი: დივანბეგი: ვახტანგ: ჩამოვიდა: შუა: და ბატონი: მამიდა ჩემი: თამარი: და: ჩემი: და: დარეჯან: ჩამოვიდენ: შუა: და: მათის: შუა: მავლობითა: წმიდასა: ნიკოლოზს: შეგწირეთ: და: პურის: ბეგარა: ამოგიკვეთეთ: რომე: პურის ბეგარა: აღარ: გეთხოვებოდეს: არა: სხვა: ჩვენი: სათხოვარი: აღარა: გთხოვებოდეს რა: წმიდის: ნიკოლოზისათვის: შეგვიწირავხართ ჩვენდა საოხად: და: წარსამართებლად: და: მამისა: და: დედისა: ჩვენის: სასულიეროდ: და: მოსახსენებლად: ესე: ასრე: გაგითავდეს: და: არაოდეს: არ: მოგეშალოს: არა: ჩვენგან: და: არა: სხვათა: ჩვენთა: ნათესავთა: და: მომავალთაგან: ვინცა: ამის: და: შლად: და: ქცევად: ხელყოს: ჩვენთამცა: ცოდვათათვის: იგი: განიკითხვის: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა: ხოლო: დამამტკიცებელი: ამისნი: ღმერთმან დამტკიცოს: არიან: იმისნი: მოწმენი: სახლთ: უხუცესი: ბუნიათი: შვილი: როინ: მოლარეთ: უხუცესი: ალექსიძე: რამაზ: უზნაძე: ლომი: და: ერთობილნი: ჩვენი: აზნაურ: შვილები: დაიწერა: წიგნი: ესე: შეწირულებისა: ხელით: კარისა: ჩვენისა: მდივან მწიგნობრისა: ბედის მწერალის შვილის: იესესითა: ქორონიკონსა: ტო 1682 წ.

---

## გორისჯვრისა.

1800 წ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ქირი მარადის თქვენს მლოცველს გორიჯვრის დეკანოზს ბარტლომეს მოსცეს. ჩემო ხელმწიფევ თქვენის ბრძანებით გორიდამ ორი კაცი გორისჯვრის ციხეში იდგა, ახლა ლაშკარნი ვისებ სანი უნახავთ ნაკოებში დაუწერიათ ეს ორი კაცი. იმისი შენახვა საჭიროც არის და ქვეყნისაც შესამატია და ამისი შენახვაც თქვენგანაც წყალობა სჭირდა, ახლა ნება თქვენის უმაღლესობისა ასრულდეს, მაისის კდ ქორონიკონსა უპჱ.

ჩვენი ბრძანება არის ლაშქარ ნიფისებო გორისჯვრის ყმა რაც მორიგეთა სწერია გორისჯვარში უნდა იდგნენ. ამათ ნაკლებში ნუ დასწერთ. მაისის კვ ქორონიკონსა უპჱ.

---

## რუსთავი.

1651 წ. [1]) ქ. ჩვენ ღუთივ გვირგვინოსამან მეფეთ მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ ესე მტკიცე და უცვალებელი საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა და წესის ებრივ ნამსახურთა რუსთველს პატრონს ზაქარიას მას ჟამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა და ერთ ღთებისა ერთ უფლებისა ღუთისა დიდებულისა და წმიდისა სამების მამულის წიგნის გაახლებას და გუვაჯენით ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული გიყავით და ძუელნი გუჯარიც გინახეთ რა რიგადაც ამას წინად ძუელითგან ხელმწიფეთ გაერიგებინათ საყდრისა მამულის საქმის ჩუენცა იმავე წესითა ჩვენდა სადღეგრძელოდ ასრე გაგითარხნეთ რომე არასფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები თქვენის საყდრის ყმას არა ეთხოებოდეს რა ერთის ლაშქარ ნადირობისა და საურისაგანაც არ გეთხოს და ვერც ქურდის მძებნელმან ხელი დაიდვას რა რიგადაც ძუელის გუჯარში ეწეროს ჩვენც იმ რიგად გაგვითავებია აა წე გიბოძე კარისა ჩვენისა ვექილ ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო ვინცა ვინ იყვნეთ და ანუ დღეს წალმა იქნებოდეთ თქვენცა ასრე დაუმკვიდრეთა და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეცილებით თუინიერ შეწევნისა და თანა დგომისაგან კიდე ვინცა და რამანცა კაცმან ადამის მო-

---

[1]) გუჯრის გაახლება ნახე ჩემი ბატონყმობა საქართველოში გვ. 11—12. ეს გუჯარი დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი. რუსთავი, რომელ არს ბოსტან ქალაქი. (ვახუშტი, გეოგრაფია, 180) შეად. «ქართ. ცხოვ.» გვ. 10.

ნათესავემან ამის შლოდ და ქცევად ხელყოს მასმცა რისხავს თავად და უსაბამო ღმერთი ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორცონი დაიწერა და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტლთ ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთუელისითა აგრეთვე რა რიგადაც ამას წინად ხელმწიფეთაგან სახელისა ღუთის მშობლის მამულისაც ნამეკობრევი შესჩნეოდეს და მისი ჯურუმი საყდარს შესწიროდეს ჩვენც იმავე წესით დაგვიმტკიცებია სამეკობრო რაც წესი იყოს პატრონს უნდა რომე მიეცეს და თუ სხვის კაცის ნამეკობრევს საყდრის ყმათზედ გამოჩნდეს ერთისათვის ორი პატრონს უნდა რომე მისცენ და სხუა რაც საზღური გამოვიდეს ისიც საყდარს უნდა რომე მიართონ და ამ საქმით გარიგდეს და არც ტყვე ეთხოვებოდეს საყდრის მამულსა.— (ბეჭედი)

---

## რ უ ს თ ა ვ ი.

1802. ბრძანება [1]) საქართველოს სამოქალაქო მმართებელთაგან თავადო ზურაბ ორბელიანო. ყოვლად სამღვდელომ მროველმა მიტროპოლიტმ იუსტინემ მმართებლობას შემოსჩივლა ჩემის ეკკლესიის ყმანი სამართლიანს ღალაკულუხს არ გვაძლევენ და არც მიხვენ, ამ მოხსენების დასამტკიცებლად მეფის ირაკლის და მეფის გიორგის ოქმები წარმოაყენა რომ უნდა ღალაკულუხი აძლივონ და უხნან. სანატრელთ მეფეთ ბრძანებულისაებრ გწერთ ერთი მართებელი კაცი გაგზავნე ღალაკულუხი მოაცემინე და როგორც ბრძანებულია ისე სამს დღეს უხნან რომელიც ურჩი იქნე'ა იმათ გარდახდე'ათ, ვითარცა ბრალეულს იანერის კზ ქორონიკონს ჩუჲ 490+1312=1802.

Генералъ Маіоръ Лазаревъ.

თავადი ბარათოვი
თავადი იოანნე ჩოლოკაევი
თავადი სულხან თუმანოვი.
თავადი ეგნატი თუმანოვი.

---

[1]) საინტერესო ბატონყმობის ისტორიისთვის. დ. ფურცელაძეს არ აქვს დაბეჭდილი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

---

ჩვენ შევიტყეთ, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი მობრძანდება თბილისში 17 ამ თთვეს. პეტერბურღიდამ მათი მეუფება მობრძანდება ზღვით, რადგან ვლადიკავკავისკენ გზები შეკრულია.

***

ქუთაისის კერძო სამკურნალოს დირექტორის ბ. ს. ბ. თოფურიასაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

«მე განვიზრახე დავაარსო ქ. ქუთაისში განყოფილება, სადაც შეეძლებათ იწამლონ ჭლექიანებმა კოხისაგან ახლად გამოგონებული საშუალებით და ამიტომ მე ვგზავნი ბერლინში ჩემი სამკურნალოის ორ ექიმს ბბ. გოლოვინს და გოვსეევს, რომ მათ შეისწავლონ ჭლექიანების წამლობა თვითონ გამომგონებლისაგან. პირველად მე მივსწერე პროფესორს ლეიდენს ბერლინში შემდეგი: თანახმა არის თუ არა პროფესორი კოხი გააცნოს სხვა ქვეყნების ექიმებს, რომელნიც კი ისურვებენ ბერლინში წასვლას, ახალი საშუალება ჭლექით ავად-მყოფების მორჩენისა.

პროფესორის ლეიდენის პასუხი იყო ჩემზედ შემდეგი: «კოხის მეტოდის შესწავლა შეუძლია ყველა ექიმებს ბერლინის ყველა კლინიკებში».

ამიტომ ჩემი სამკურნალოს ორი ექიმი ამ დღეებში მიდიან ბერლინში. საშუალებას აძლევს მათი უგანათლებულესობა თავადი ნიკოლოზ დავ. მინგრელსკი, რომელმანც მხურვალე თანაგრძნობა აღმოუჩინა ჩემს სამკურნალოს არა მარტო ექიმების ბერლინში წასასვლელი ხარჯის დანიშვნით, არამედ იმითაც, რომ ჩემს სამკურნალოში სდგას

ერთი კრავატი მის სახელზე ხუთი წლის ვადით ღარიბ ავად-მყოფთათვის. გარდა ამისა მათი უგანათლებულესობა მზად არის შესამჩნევი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს სამკურნალოს ხსენებულ ექიმების დაბრუნების შემდეგ, როცა სამკურნალოში გაიმართება საკუთარი განყოფილება ჭლექით ავად-მყოფთათვის. ჩემს მოვალეობად ვსთვლი გულითადი მადლობა შევსწირო მათ უგანათლებულესობას, როგორც მე თვითონ, ისე ჩვენი მხრის გაჭირვებულ პირთაგან».

სამკურნალოს დირექტორი ს. თოფურია.

* *
*

ამ დღეებში პეტერბურღში დაუბეჭდიათ საქართველოს ზოგიერთი ტაძრების და მონასტრების ძველ ნაშთთა აღწერილობა, რომელიც უმაღლესი ბრძანებით შედგენილია პეტერბურღის უნივერსიტეტის პროფესსორის ნ. კონდაკოვისაგან. აღწერილობაში 42 სურათია

* *
*

გაზეთ კავკაზს სწერენ ქუთაისიდგან: ამ დღეებში პეტერბურღიდგან დაბრუნდა ერთი აქაური საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე პირი, რომელმაც მოიტანა ამბავი, რომ ფინანსიის სამინისტროში ფიქრობენო, რომ კავკასიის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა მოსამსახურე პირთაგან შეადგინონ კომმისია, რომელმანც უნდა შეამოწმოს ყველა ვექილობანი, რომელნიც წარდგენილ იქმნენ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთაგან ამ უკანასკნელ საზოგადო კრებაზე და ამ ვექილობათა შემოწმების შემდეგ დაინიშნება ახალი საზოგადო კრება ხსენებულ წევრთაო.

* *
*

დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად დ წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ჯუბოს მოსაპოხებლად ჩვენ მივიღეთ ტყიბულის სამაზრო ბოქაულის ბატ. მაქსიმე იოსების ძის აბულაძისაგან ორმოცდა ოთხი მანეთი, (44 მ.) რომელსაც ეს ფული შეუგროვებია თავის ნაცნობთა და ხელქვეითთაგან.

მივაქცევთ ყურადღებას ბატ. აბულაძის ამ საქებსა და წასაბაძ გულმოდგინებაზედ, იმ მღვდელთა, რომელნიც ფულს აგროვებენ თანხის შესადგენად უმრალო და მცირე ღირსების პირთათვის ძეგლების დასადგმელად და სრულიად ავიწყდებათ და ხელსაც არ ანძრევენ ისეთ დიდის შესანიშნავის მოღვაწეობისა და მხსნელებისათვის შავი დღეების და მძიმე საყოველთაო განსაცდელის დროს, როგორიც არიან შესანიშნავნი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი და წმიდა მოწამენი არგვეთის მთავარნი ძმანი დავით და კონსტანტინე.

* *
*

სოფლის ტაბაკინის წმიდის გიორგის ეკკლესიისათვის შეუწირავთ სხვა და სხვა ნივთები და ფული შემდეგ პირთ: აზ. ბ. ს. ჟღენტს შეუწირავს ასი მან., ხატების მოსაპოხებლად, ნინო ჟღენტისას, აბაშიძის ასულს და ზეხათუნ ჟღენტის ასულს—მშვენიერი ყდიანი სახარება, ღირებული 42 მანეთად, ირინე ჟღენტისას, მხეიძის ასულს—ორი შანდალი ტრაპეზზედ დასადგმელი, ღირებული რვა მანეთად, სუსანა არდიშვილისას—ერთი ჯვარი, ღირებული 4 მანეთად, ანუსია მაჭავარიანისას—ერთი საცეცხლური, ღირებული 1 მ. და 50 კ., ველიაჩის გელენჯირიძის ასულს—სპილენძის ტაკუკი, ოქროში დაფერილი თავის ჯამით, ღირებულნი 2 მანეთად, გლეხს გიორგის წითელაშვილს—ერთი დიდი შანდალი, ღირებული 10 მ., და ეფემია ჩუბინიძის ასულს—ერთი შანდალი ღირებული 5 მ.

ყველა ამ შემწირველთ გულითად მადლობას სწირავს როგორც ხსენებული ეკკლესიის კრებული, ისე სამრევლო. იმედია, რომ ამ კეთილ პირთ წამბაძველნი აღმოუჩნდებიან სოფელს ტაბაკინში.

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემსზედ“

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. | |
| — „ ორივე გამოცემა 6 » | | — „ ორივე გამოცემა 4 » | |
| — „ რუსული „ 3 მ. | | — „ რუსული „ 2 მ. | |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით; Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

# კერძო სამკურნალო

## ს. ბ. თოფურიასი

მომსვლელთა ავათმყოფთათვის

და

მუდმივ საწოლებით.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავათმყოფთათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის — ლ. ა. გავსეევი. საბებიო და ქალის ავადმყოფობისათვის — ექიმი-ქალი მ. ფ. ძალანი. ელექტრობით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი ძეიხელი.

სამკურნალოსთან არის გამართული კაბინეთი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაური. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება 3 მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა — ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით — სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა — ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი — გარიგებით.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნლო იმყოფება ბოკერიას სახლებში, ქუთაისის ბულვარის პირ-და-პირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შინაარსი: რედაქციისაგან. — იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქუთაისში. — 17 ოქტომბერი ქუთაისში. — ეკკლესიების კურთხევა და მღვდელ-მთავრის რევიზია შორაპნის სამღვდელო ბინო მაზრაში. — ურიის მონათვლა გორში. — ოდესის და ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსის ნიკანორის შესანიშნავი რევიზია. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ,* 14 *Ноября 1890 г.*
Типографія редакціи (Д.Д. Гамбашидзе) Въ помѣщ. Кутаисѣ, въ домѣ бр. Хахановыхъ на Нѣмецкой ул.